# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №504

ქ.ქუთაისი 31 დეკემბერი 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ნოდარ მიქიაშვილის სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-წერილი №01-9405 31.12.14წ.; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3: ტელ: 24-10-24) (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ქუთსერვის ჯგუფი", მისი დირექტორის გელა გაგუას სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. №16; ტელ: 0431 26 56 08) (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის, ფიზიკური და იურიდიული პირების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების მომსახურების გაწევა.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართი №1-ში.

2.3 კლასიფიკატორის კოდი – 90600000.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 242327, 37 ( ორას ორმოცდაორი ათას სამას ოცდაშვიდი ლარი 37თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განახორციელდება თვითთმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის (ინსპექტირება) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი".

3.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირება) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

## 4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება დანართი №1-ის შესაბამისად.

4.2. „მიმწოდებელი" მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ვალდებულია შექმნას ოპერატიული ჯგუფები, რათა დღე-ღამის განმავლობაში უზრუნველყონ ცენტრალური მოედნის, ქუჩებისა და მაგისტრალების დასუფთავება და ნარჩენების განთავსების ადგილზე მიტანის ორგანიზაცია.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2 ,,მიმწოდებლი"–ს მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას ახორციელებს მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული.

## 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ,,მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე

6.2 ,,მიმწოდებლი"–ს წერილობით მომართვას ანგარიშწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება;

ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 7 .ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის ხელშეკრულების თანხის 30%-ს.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

10.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისად
მი.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ.

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ წამოჭრილი დავები გადაწყვეტილი იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 3 მარტამდე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

## 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი:**
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა # 33033303
ს/კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე

------------------------------

ნოდარ მიქიაშვილი

**მიმწოდებელი:**
შ.პ.ს. „ქუთსერვის ჯგუფი"
მის: ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ.№16
ს .ს. ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: 220101601
ა/ა: GE68VT0500000000463402
ს/კოდი: 412675476

შ.პ.ს. „ქუთსერვის ჯგუფი"
დირექტორი

------------------------------

ბელა გაგუა

დანართი #1

ხარჯთაღრიცხვა

## გასაწევი მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების აღწერა დღგ-ს ჩათვლით

| | სამუშაოს დასხელება | გან-ზა | სამუშევარი დღეების რ-ბა | რაოდენობა | | ღირებულება (ლარი) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღეში | თვეში | ერთ ღირ-ბა | დღეში | თვეში |
| 1 | ქუჩების დაგვა-დასუფთავება | 1000 კვ.მ | 31.0 | 2367.40 | 73389.40 | 1.38 | 3267.01 | 101277.37 |
| 2 | ნარჩენების გატანა | კუბ.მ | 31.0 | 650.00 | 20150.00 | 7.00 | 4550.00 | 141050.00 |
| 3 | ნარჩენების გაუვნებლობა | კუბ.მ | 31.0 | 650.00 | 20150.00 | | 0.00 | 0.00 |
| სულ: | | | | | | | | 242327.37 |

შპს "ქუთსერვის ჯგუფი"–ს დირექტორი: ბელა გაგუა

შპს ქუთსერვის ჯგუფი 412675476

დასუფთავების ობიექტების ნუსხა

| № | ქუჩის დასახელება | ფართობი (ათ. კვ.მ) | დაგვის ჯერადობა | დასაგველი ფართობი (ათ. კვ.მ) | სამუშაო დაწყება-დამთავრება: დილის სმენა | სამუშაო დაწყება-დამთავრება: საღამოს სმენა | მორწყვა-ჩარეცხვის ფართობი (ათ.კვ.მ) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წმ.ნინოს ქუჩა | 9,90 | ორჯერადი | 19,80 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 2 | ფალიაშვილის ქუჩა (წითელ ხიდსა და რუსთაველის ხიდს შორის არსებული მოედნის ჩათვლით) | 10,10 | ორჯერადი | 20,20 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 10,1 | |
| | ფალიაშვილის ქუჩის შესახვევები | 3,00 | ორჯერადი | 6,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 3 | ვარლამიშვილის ქუჩა (შესახვევებით) | 7,70 | ორჯერადი | 15,40 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 4 | ცისფერყანწელთა ქუჩა | 3,50 | ორჯერადი | 7,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 5 | ლერმონტოვის ქუჩა | 4,20 | ორჯერადი | 8,40 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 6 | ბროსეს ქუჩა | 2,80 | ორჯერადი | 5,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 7 | ყვავილების ბაზრის წინა მოედანი | 1,00 | ორჯერადი | 2,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 8 | აღმაშენებლის მოედანი | 8,80 | ორჯერადი | 17,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 8,8 | |
| 9 | ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული ტერიტორია | 3,00 | ორჯერადი | 6,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 10 | რუსთაველის გამზირი (ხიდამდე) | 7,40 | ორჯერადი | 14,80 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 7,4 | |
| 11 | წერეთლის გამზირი (ეროვნულ ბანკამდე) | 3,70 | ორჯერადი | 7,40 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 3,7 | |
| 12 | თამარ მეფის ქუჩა (პუშკინის ქუჩამდე) | 3,50 | ორჯერადი | 7,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 3,5 | |
| 13 | პუშკინის ქუჩა | 2,00 | ორჯერადი | 4,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 14 | ფანჯიკიძის ქუჩა | 1,70 | ორჯერადი | 3,40 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 1,7 | |
| 15 | თამარ მეფის ქუჩა (პუშკინის ქუჩიდან სადგურამდე) | 17,10 | ორჯერადი | 34,20 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 17,1 | |
| 16 | ნიუპორტის ქუჩა | 8,30 | ორჯერადი | 16,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 17 | თბილისის ქუჩა | 10,60 | ორჯერადი | 21,20 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 18 | ტიციან ტაბიძის ქუჩა | 6,30 | ორჯერადი | 12,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 19 | რუსთაველის გამზირი (ხიდიდან გამარჯვების მოედნამდე) | 27,70 | ორჯერადი | 55,40 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 27,7 | |
| 20 | აღმაშენებლის გამზირი | 85,00 | ორჯერადი | 170,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 85 | |
| 21 | გრიშაშვილის ქუჩა | 16,00 | ორჯერადი | 32,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 22 | ნინოშვილის ქუჩა და დუმბაძის ქუჩა | 25,40 | ორჯერადი | 50,80 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 23 | ლადო ასათიანის ქუჩა | 30,00 | ორჯერადი | 60,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 24 | გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა | 15,30 | ორჯერადი | 30,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 25 | ახალგაზრდობის გამზირი | 53,00 | ორჯერადი | 106,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 53 | |
| 26 | მანდარიას ქუჩა | 8,30 | ორჯერადი | 16,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 27 | ჭავჭავაძის გამზ. (ნიკეას ქუჩის გადაკვეთიდან ახალგაზრდობის გამზირამდე) | 31,00 | ორჯერადი | 62,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 31 | |
| 28 | ნიკეას ქუჩა | 84,10 | ორჯერადი | 168,20 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 29 | ჭავჭავაძის გამზ. (9 აპრილის ქუჩიდან ნიკეას ქუჩის გადაკვეთამდე) | 77,30 | ორჯერადი | 154,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 77,3 | |
| 30 | ირაკლი აბაშიძის ქუჩა | 63,00 | ორჯერადი | 126,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 63 | |
| 31 | 9 აპრილის ქუჩა | 21,30 | ორჯერადი | 42,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 21,3 | |
| 32 | შარტავას ქუჩა | 10,40 | ორჯერადი | 20,80 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 33 | ბუხაიძის ქუჩა | 15,30 | ორჯერადი | 30,60 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 15,3 | |
| 34 | ჯავახიშვილის ქუჩა (საავადმყოფოს გადასახვევამდე) | 26,40 | ორჯერადი | 52,80 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 26,4 | |
| 35 | ზვიად გამსახურდიას ქუჩა | 66,50 | ორჯერადი | 133,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 66,5 | |
| 36 | გამარჯვების ქუჩა | 12,90 | ორჯერადი | 25,80 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 12,9 | |
| 37 | ავტომშენებლის ქუჩა | 87,00 | ორჯერადი | 174,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 38 | წერეთლის ქუჩა (ეროვნული ბანკიდან ჭავჭავაძის გამზირამდე) | 48,00 | ორჯერადი | 96,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |
| 39 | ლუდსახარში „მირზაანი"-ს ჩასასვლელიდან ოქროს ჩარდახამდე ასასვლელი კიბის ჩათვლით (ლუდსახარშზე მიმაგრებული ტერიტორიის გარდა) | 1,00 | ორჯერადი | 2,00 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | 25,5 | |
| 40 | ჯაჭვის ხიდიდან დავით და კონსტანტინეს ქუჩაზე მდებარე წყარომდე | 6,20 | ორჯერადი | 12,40 | 6:00-8:30 | 17:00-20:00 | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 41 | 26 მაისის ქუჩა | 17,60 | ერთჯერადი | 17,60 | 6:00-8:30 | | | |
| 42 | სოლომონ 1-ის ქუჩა | 22,00 | ერთჯერადი | 22,00 | 6:00-8:30 | | | |
| 43 | რკინიგზის საავადმყოფო (წინა მოედანი) | 3,20 | ერთჯერადი | 3,20 | 6:00-8:30 | | | |
| 44 | მერაბ კოსტავას ქუჩა | 11,00 | ერთჯერადი | 11,00 | 6:00-8:30 | | | |
| 45 | ყაზბეგის ქუჩა (ბაგრატის ტაძრამდე) | 10,50 | ერთჯერადი | 10,50 | 6:00-8:30 | | | |
| 46 | სადგურის კიბეები (100 საფეხურიანი) | 0,90 | ერთჯერადი | 0,90 | 6:00-8:30 | | | |
| 47 | სადგური I-ის მოედანი | 7,70 | ერთჯერადი | 7,70 | 6:00-8:30 | | | |
| 48 | ვიქტორ კუპრაძის ქუჩა | 12,50 | ერთჯერადი | 12,50 | 6:00-8:30 | | | |
| 49 | ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა | 15,80 | ერთჯერადი | 15,80 | 6:00-8:30 | | | |
| 50 | გრიგოლ აბაშიძის ქუჩა | 10,00 | ერთჯერადი | 10,00 | 6:00-8:30 | | | |
| 51 | გიორგი ლეონიძის ქუჩა | 8,40 | ერთჯერადი | 8,40 | 6:00-8:30 | | | |
| 52 | გუგუნავას ქუჩა | 48,00 | ერთჯერადი | 48,00 | 6:00-8:30 | | | |
| 53 | სულხან-საბას გამზირი | 24,90 | ერთჯერადი | 24,90 | 6:00-8:30 | | | |
| 54 | თაბუკაშვილის ქუჩა | 68,60 | ერთჯერადი | 68,60 | 6:00-8:30 | | | |
| 55 | ოცხელის ქუჩა | 5,80 | ერთჯერადი | 5,80 | 6:00-8:30 | | | |
| 56 | კ.გამსახურდიას ქუჩა (ჭავჭავაძის გამზირიდან საავადმყოფომდე) | 7,60 | ერთჯერადი | 7,60 | 6:00-8:30 | | | |
| 57 | ბაგრატის ტაძართან ასასვლელი კიბეები | 0,42 | ერთჯერადი | 0,42 | 6:00-8:30 | | | |
| 58 | ხორავას ქუჩა ცენტრალური სტადიონის გასწვრივ ნარსიას ქუჩამდე) | 13,10 | ერთჯერადი | 13,10 | 6:00-8:30 | | | |
| 59 | მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის წინ არსებული მოედანი | 2,10 | ერთჯერადი | 2,10 | 6:00-8:30 | | | |
| 60 | ორახელაშვილის ქუჩა (საპატრულო პოლიციის ტერიტორიის ჩათვლით) | 22,60 | ერთჯერადი | 22,60 | 6:00-8:30 | | | |
| 61 | ხახანაშვილის ქუჩა | 1,90 | ერთჯერადი | 1,90 | 6:00-8:30 | | | |
| 62 | ჯიბლაძის ქუჩა | 2,20 | ერთჯერადი | 2,20 | 6:00-8:30 | | | |
| 63 | მერიასა და სავაჭრო ცენტრ „ქარვასლა"-ს შორის არსებული ტერიტორია | 1,00 | ერთჯერადი | 1,00 | 6:00-8:30 | | | |
| 64 | მდინარე „რიონ"-ზე არსებული ხიდები (ჯაჭვის ხიდი, რუსთაველის ხიდი, წითელი ხიდი, თეთრი ხიდი) | 3,50 | ერთჯერადი | 3,50 | 6:00-8:30 | | | |
| 65 | გაპონოვის ქუჩა დასაწყისიდან მეორე სალოცავამდე | 8,40 | ერთჯერადი | 8,40 | 6:00-8:30 | | | |
| 66 | გელათის ქუჩა პოლიციის მე-2 განყოფილებიდან მწვანე-ყვავილას პანთეონამდე | 12,50 | ერთჯერადი | 12,50 | 6:00-8:30 | | | |
| 67 | ახალგაზრდობის პირველი შესახვევი | 1,50 | ერთჯერადი | 1,50 | 6:00-8:30 | | | |
| 68 | სოხუმის ქუჩა | 5,70 | ერთჯერადი | 5,70 | 6:00-8:30 | | | |
| 69 | ავტომშენებლის პირველი შესახვევი | 2,40 | ერთჯერადი | 2,40 | 6:00-8:30 | | | |
| 70 | ბარათაშვილის ქუჩა | 15,20 | ერთჯერადი | 15,20 | 6:00-8:30 | | | |
| 71 | ბუკიას ქუჩა | 19,80 | ერთჯერადი | 19,80 | 6:00-8:30 | | | |
| 72 | ჩხობაძის ქუჩა | 10,00 | ერთჯერადი | 10,00 | 6:00-8:30 | | | |
| 73 | ჩეჩელაშვილის ქუჩა (ნინოშვილის ქუჩიდან სარაჯიშვილის ქუჩის გადაკვეთამდე) | 7,17 | ერთჯერადი | 7,17 | 6:00-8:30 | | | |
| 74 | როძევიჩის ქუჩა | 3,70 | ერთჯერადი | 3,70 | 6:00-8:30 | | | |
| 75 | პაოლო იაშვილის ქუჩა (ონკოლოგიურ საავადმყოფომდე | 2,00 | ერთჯერადი | 2,00 | 6:00-8:30 | | | |
| 76 | ზვიად გამსახურდიას პირველი შესახვევი სკოლა „მერმისი"-ს წინა ტერიტორიით | 1,30 | ერთჯერადი | 1,30 | 6:00-8:30 | | | |
| 77 | ჯავახიშვილის ქუჩა საავადმყოფოს გადასახვევიდან ბოლომდე | 0,40 | ერთჯერადი | 0,40 | 6:00-8:30 | | | |
| 78 | თვალჭრელიძის ქუჩა (ცახელი) | 5,10 | ერთჯერადი | 5,10 | 6:00-8:30 | | | |
| 79 | გრიგოლ ხანძთელის ქუჩა | 7,80 | ერთჯერადი | 7,80 | 6:00-8:30 | | | |
| 80 | ცხინვალის ქუჩა | 4,90 | ერთჯერადი | 4,90 | 6:00-8:30 | | | |
| 81 | ნ.ლორთქიფანიძის ქუჩა | 1,90 | ერთჯერადი | 1,90 | 6:00-8:30 | | | |
| 82 | აკაკი შანიძის აღმართი | 3,90 | ერთჯერადი | 3,90 | 6:00-8:30 | | | |
| 83 | ლომონოსოვის ქუჩა | 3,40 | ერთჯერადი | 3,40 | 6:00-8:30 | | | |
| 84 | დავით და კონსტანტინეს ქუჩა ჯაჭვის ხიდამდე | 3,52 | ერთჯერადი | 3,52 | 6:00-8:30 | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 85 | დავით და კონსტანტინეს ქუჩაზე მდებარე წყაროდან 26-ე საჯარო სკოლის ჩათვლით | 17,80 | ერთჯერადი | 17,80 | 6:00-8:30 | | | |
| 86 | ლომოურის ქუჩა | 12,505 | ერთჯერადი | 12,505 | 6:00-8:30 | | | |
| 87 | ახალგაზრდობის მე-5 შესახვევი ახალგაზრდობის გამზირის №7 საცხოვრებელ ბინამდე | 10,50 | ერთჯერადი | 10,50 | 6:00-8:30 | | | |
| 88 | ბუხაიძის ქუჩის მე-2 შესახვევი | 4,00 | ერთჯერადი | 4,00 | 6:00-8:30 | | | |
| 89 | მელიქიშვილის ქუჩა (ჭავჭავაძის გამზირიდან საჯარო სკოლის ბოლომდე) | 1,50 | ერთჯერადი | 1,50 | 6:00-8:30 | | | |
| 90 | თავისუფლებბის ქუჩა (ჭავჭავაძის გამზირიდან ნარსიას ქუჩამდე) | 3,50 | ერთჯერადი | 3,50 | 6:00-8:30 | | | |
| 91 | მჭედლიძის ქუჩა (ასათიანის ქუჩიდან საბავშვო ბაღამდე) | 4,005 | ერთჯერადი | 4,005 | 6:00-8:30 | | | |
| 92 | ძომუაშვილის ქუჩა (ყოფილი ვოლგოგრადის სამედიცინო კოლეჯიდან ბოლომდე) | 3,00 | ერთჯერადი | 3,00 | 6:00-8:30 | | | |
| 93 | სარაჯიშვილის ქუჩა | 5,72 | ერთჯერადი | 5,72 | 6:00-8:30 | | | |
| 94 | ყაუხჩიშვილის ქუჩა(ყოფ. სტურუას ქ.) | 1,45195 | ერთჯერადი | 1,45195 | 6:00-8:30 | | | |
| 95 | ი.აბაშიძის №6-8, 23-ე სკოლის გაყოლებით.იწყება ხარისხის სახლიდან და გადის ბუხაიძის ქუჩამდე | 2,72236 | ერთჯერადი | 2,72236 | 6:00-8:30 | | | |
| 96 | ვაჟა ფშაველას ქუჩა (ყაზბეგის ქუჩიდან 20-ე სკოლის ჩათვლით | 2,51399 | ერთჯერადი | 2,51399 | 6:00-8:30 | | | |
| 97 | ცხაკაიას კლინიკამდე მისასვლელი ახალი გზა ბუხაიძის ქუჩიდან | 1,87807 | ერთჯერადი | 1,87807 | 6:00-8:30 | | | |
| 98 | გოგებაშვილის ქუჩა | 2,97511 | ერთჯერადი | 2,97511 | 6:00-8:30 | | | |
| | | **1441,68** | | **2367,38** | | | 557,2 | |